ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3390147

ნომერი: AR1510464

თარიღი : 02.06.2017

გაცემის თარიღი : 12.07.2017

გაცნობის თარიღი : 14.07.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქინძმარაულის ქუჩის II შესახვევი N8ბ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ გეთიაშვილი პ/ნ 01011017822
- თბილისი, შორაპნის #23

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 2172271
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 23.09.2015

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა 2017 წლის 02 ივლისს შემოსულიNAR1510464 ელექტრონული განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, შესახვევი ქინძმარაულის II, N 8, შ.პ.ს. "კახეთი-91"-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.19.34.004.063) შეთანხმებული გრგ-ს საფუძველზე დამუშავებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში მიღების თაობაზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2016 წლის 24 აგვისტოს N8-251633/12 ბრძანებაში (ასევე 29.11.2016წ. #16/309738; 01.06.2017წ. #17-01171522557 წერილებში) დაფიქსირებული არქიტექტურულ-სამშენებლო დარღვევების წერილობით დადასტურებას.

"მშენებლობისნებართვის გაცემის წესისა და სანებართვოპირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 24.03.09 წ. N57 დადგენილების 62-ე მუხლისპირველი პუნქტის ,,პ" ქვეპუნქტის თანახმად - "ქ. თბილისში(გარდა V კლასის შენობა-ნაგებობებისა) თუ წარმოებულიმშენებლობის შედეგად სამშენებლო განხორციელდა ცვლილებები, რაც საჭიროებსმშენებლობის ახალ ნებართვას, თუმცა სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია და დამკვეთსუარი ეთქვა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებაზე, დამკვეთის მიერ ექსპლუატაციაშიმიღებაზე უარის თქმისშესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მშენებლობისნებართვის გამცემ ორგანოში წარდგენის შემდეგ აღნიშნული ორგანო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის გარეშე უკვე განხორციელებულიმშენებლობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობასა და მისიდასაშვებობისდადასტურებაზე. ასეთ შემთხვევაში, მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ შეთანხმებულისამშენებლო დოკუმენტისაგან განსხვავებით, ნაწარმოები მშენებლობის დადასტურება ხდება წერილობითიფორმით. განხორციელებულიმშენებლობის გათვალისწინებით მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს დამატებითიდოკუმენტაცია. დადასტურებისწერილი მშენებლობის ნებართვის განუყოფელი ნაწილია და უნდადაერთოს ამ დადგენილებითგანსაზღვრულისამშენებლო დოკუმენტის ყველა ეგზემპლარს;"

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

1. სამსახური ადასტურებს ქ. თბილისში, შესახვევი ქინძმარაულის II, N 8, შ.პ.ს. "კახეთი-91"-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.19.34.004.063) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (შეთანხმებული გრგ-ს საფუძველზე დამუშავებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2016 წლის 24 აგვისტოს Nბ-251633/12 ბრძანებაში (ასევე 29.11.2016წ. #16/309738; 01.06.2017წ. #17-01171522557 წერილებში) დაფიქსირებული არქიტექტურულ- სამშენებლო დარღვევებით განხორციელებული მშენებელობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობას და მათ დასაშვებობას ობიექტის შემდგომი ექსპლუატაციაში მიღების მიზნით.
2. წინამდებარე წერილობითი დადასტურება განიხილება პროექტის შეთანხმებასა და მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე სამსახურის 23/09/2015 წ №2172271 ბრძანებასთან ერთად, წარმოადგენს მშენებლობის ნებართვის განუყოფელ ნაწილს და უნდა დაერთოს სამშენებლო დოკუმენტის ყველა ეგზემპლარს.

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.